პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

1972 წ. № 235 (4745) 28 ნოემბერი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

მეხიკო, 27 ნოემბერი. მექსიკის დედაქალაქის ხისსაფარიან ოლიმპიურ ტრეკზე 28 წლის იტალიელმაველოსიპედისტმა მარია კრესარიმ ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: ერთ საათში 41 კმ და 471,74 მ დაფარა, ხოლო ორი დღის წინ 5-კილომეტრიან დისტანციაზე 7.00,1 აჩვენა.

უწინდელი რეკორდები ეკუთვნოდათ ლუქსემბურგელ ელსი ჯეკობს — 41 კმ და 347,27 მ (მილანი, 1958 წ.) და საბჭოთა სპორტსმენს ნინა სადოვაიას — 7.03,3 (ირკუტსკი, 1955 წ.).

## სსრ კავშირის პირველობა

### უმაღლესი ლიგა

**გათამაშების საბოლოო ცხრილი**

დუბლიორთა შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ." (კ.) | 30 | 14 | 13 | 3 | 34—18 | 41 |
| „ტორპედო" | 30 | 14 | 12 | 4 | 46—30 | 40 |
| „კარპატი" | 30 | 13 | 12 | 5 | 40—29 | 38 |
| „დინ." (მ.) | 30 | 14 | 9 | 7 | 50—28 | 37 |
| ცსკა | 30 | 13 | 11 | 6 | 39—20 | 37 |
| „ზარია" | 30 | 12 | 13 | 5 | 36—32 | 37 |
| „დინ." (თბ.) | 30 | 13 | 7 | 10 | 44—36 | 33 |
| ასკ (როსტ.) | 30 | 10 | 10 | 10 | 36—31 | 30 |
| „ნეფთჩი" | 30 | 10 | 9 | 11 | 39—38 | 29 |
| „ზენიტი" | 30 | 8 | 11 | 11 | 42—49 | 27 |
| „დინ." (მნ.) | 30 | 4 | 17 | 9 | 16—24 | 25 |
| „არარატი" | 30 | 9 | 7 | 14 | 25—37 | 25 |
| „დნეპრი" | 30 | 7 | 9 | 14 | 35—48 | 23 |
| „ყაირათი" | 30 | 6 | 8 | 16 | 30—44 | 20 |
| „ლოკომოტ." | 30 | 6 | 8 | 16 | 28—53 | 20 |
| „სპარტაკი" | 30 | 6 | 6 | 18 | 25—48 | 18 |

## I ლიგაში — „სპარტაკი"

25 ნოემბერს სიმფეროპოლში შედგა მეორე მატჩი ივანო-ფრანკოვსკის „სპარტაკისა" და რიგის „დაუგავის" ფეხბურთელთა შორის, რომლებიც საგაისოდ I ლიგაში მონაწილეობის უფლებისთვის იბრძოდნენ.

ამ გუნდების პირველი შეხვედრა რიგელებმა მოიგეს (1:0), ამდენად, მათი ამოცანა უფრო იოლი იყო, მაგრამ სპარტაკელებმა ძლიერად ჩაატარეს მეორე შეხვედრა, გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1 და მიიღეს I ლიგის საგზური.

## ვეტერანის თასზე

გორის „დილისა" და რუსთავის „მეტალურგის" შეხვედრით დამთავრდა შ. შავგულიძის სახელობის პრიზის გათამაშება, რომელშიც მონაწილეობდნენ II ლიგაში მოთამაშე საქართველოს გუნდები. გორელებმა ძლიერად ჩაატარეს მატჩი და სტუმრების კარში 5 „მშრალი" ბურთი გაიტანეს.

• • •

მოგვყავს შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშების საბოლოო ცხრილი:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მერცხალი" | 12 | 5 | 6 | 1 | 11—7 | 16 |
| „გურია" | 12 | 5 | 3 | 4 | 15—19 | 13 |
| „მეტალურგი" | 12 | 4 | 5 | 3 | 14—18 | 13 |
| „დილა" | 12 | 4 | 4 | 4 | 15—11 | 12 |
| „დინ." (ბათ.) | 12 | 4 | 4 | 4 | 13—10 | 12 |
| „დინ." (სოხ.) | 12 | 3 | 4 | 5 | 14—10 | 10 |
| „კოლხეთი" | 12 | 2 | 4 | 6 | 13—20 | 8 |



სიმაღლე დაძლეულია.

ო. ბელაშვილის ფოტო.

# ისევ გიგოვა

პრაღა, 26 ნოემბერი. ისევე როგორც შარშან, მხატვრულ ტანვარჯიშში სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა ტრადიციული შეჯიბრება ინტერვიზიის პრიზზე ბულგარელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, მსოფლიო ჩემპიონმა მ. გიგოვამ მოიხვეჭა.

II ადგილზე გავიდა საბჭოთა ტანმოვარჯიშე გ. შუგუროვა, ხოლო III — მ. კლინგეროვა (ჩეხოსლოვაკია).

გოგონათა შორის წარმატება იზეიმა რუმინელმა კ. სიმამ. საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე შედგა საბჭოთა მოსწავლე ი. დერიუგინა, ხოლო მესამეზე — ბულგარელი მ. ბალკოვა.

შუგუროვა საუკეთესო იყო სალტით ვარჯიშში, ხოლო ლენტით ვარჯიშში გიგოვასთან I-II ადგილები გაიყო.

• • •

**ტექნიკური შედეგები**

ქულათა ჯამი. 1. გიგოვა — 39, 2. შუგუროვა — 38,9, 3. კლინგეროვა — 38,5.

სალტით ვარჯიში. 1. შუგუროვა — 9,8 ქულა, 2. გიგოვა — 9,75, 3-4. კლინგეროვა და მ. პატოჩეკი (უნგრეთი) — 9,6-9,6.

ლენტით ვარჯიში. 1-2. შუგუროვა და გიგოვა — 9,75-9,75, 3. კლინგეროვა — 9,7.

გოგონების ქულათა ჯამი. 1. სიმა — 19,5, 2. დერიუგინა — 18,9, 3. ბალკოვა — 18,85.

ვარჯიში ნებისმიერი პროგრამით. 1. სიმა — 9,65 ქულა, 2. ბალკოვა — 9,45, 3-4. დერიუგინა და ა.-მ. მოლნარი (უნგრეთი) — 9,4-9,4.

• • •



სურათზე: მ. გიგოვა ბურთით ვარჯიშის დროს.

## რვა ჩემპიონი საბჭოთა კავშირიდან

რიგა, 26 ნოემბერი. დღეს აქ დამთავრდა სამბისტთა პირველი ევროპული ჩემპიონატი. ოქროს მედლები წონითი კატეგორიების მიხედვით მოიპოვეს: ვ. კიულენენმა, ა. ხოშმა, კ. გერასიმოვმა, ვ. ნევზოროვმა, ა. ფიოდოროვმა, ჩ. ეზერსკასმა (ყველა — სსრ კავშირი), ნ. ნისინაკამ, ნ. სატომ (ორივე — იაპონია), ს. ნოვიკოვმა და ვ. კუზნეცოვმა (ორივე — სსრ კავშირი).

## ლანჩხუთი

გაიმართა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ვეტერანის, სპორტის ოსტატ ი. დათუნაშვილის სახელობის თასის მეორე რაიონული გათამაშება. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ამ პრიზის შარშანდელი მფლობელი — ქვემო ჩიბათის კოლმეურნეობის ნაკრები და ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის გუნდი. გაიმარჯვეს საბჭოთა მეურნეობის ფეხბურთელებმა — 4:1.

ი. ებრალიძე.

◆ სან-ანტონიო (ტეხასის შტატი), 27 ნოემბერი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის VI ტურში შესვენებამდე 6 პარტია დამთავრდა. ახალი გამარჯვება (41-ე სვლაზე) იზეიმა კარპოვმა, რომელმაც ბირნს (აშშ) სძლია. კერესმა მოუგო მექსიკელ კამპოს-ლოპესს, პორტიშმა (უნგრეთი) — ჰორტს (ჩეხოსლოვაკია), რომელიც მძაფრ ცაიტნოტში აღმოჩნდა. გლიგორიჩმა (იუგოსლავია) დაამარცხა სმითი (აშშ), კაპლანმა (პუერტო-რიკო) — სათლზი (კანადა). ევანს (აშშ) — პეტროსიანის პარტია 34-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. დაუმთავრებელი დარჩა ორი პარტია: მეკინგი (ბრაზილია) — ლარსენი (დანია) და სეიდი (აშშ) — ბრაუნი (ავსტრალია). 6 ტურის შემდეგ მოწინავე ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: კარპოვი — 4,5 ქულა (დასამთავრებელი აქვს პარტია სათლზთან), კერესი — 3,5 (2 პარტია გადადებულია), გლიგორიჩი — 3,5 (1), პეტროსიანი და პორტიში — 3-3 (1-1), ლარსენი — 2,5 (3).

## სეზონის მიწურულს

უქგოროდში გაიმართა მძლეოსანთა საოლქო შეჯიბრება, რომელშიც 16 წლის მოსწავლემ ვ. კანიუკმა (მუკაჩევო) საშუალო ასაკის გოგონათა საკავშირო რეკორდი დაამყარა — ხუთჭიდში 4102 ქულა მოაგროვა. აღსანიშნავია, რომ ამ გოგონამ ყველა სახეობაში კარგ მაჩვენებელს მიაღწია. 100 მეტრზე თარჯრბენში მისი შედეგია 15 წამი, ბირთვის კვრაში — 12,50 მ, სიგრძეზე ხტომაში — 608 სმ, სიმაღლეზე ხტომაში — 165 სმ, 200 მეტრზე რბენაში — 25,6 წამი.

ამ ნიჭიერ გოგონას მამამისი მ. კანიუკი წვრთნის.

ჭადრაკი

# საკავშირო ჩემპიონატებზე

### ... ბაქოში

შაბათს ჩემპიონატის მონაწილეებს დასვენების დღე ჰქონდათ, გუშინწინ კი VII ტური გაიმართა.

პირველი გამარჯვება იზეიმა მ. ტალმა (რიგა), რომელმაც ოდესელი ოსტატი ლ. ალბურტი დაამარცხა. გ. კუზმინს (ვოროშილოვგრადი) პირველი ნული ჩაუწერეს სატურნირო ცხრილში: მას ი. რაზუვაევმა (მოსკოვი) მოუგო. სხვათა შორის, ეს რაზუვაევის პირველი გამარჯვებაა ჩემპიონატში.

ვ. ზილბერშტეინ (ორსკი) — კ. გრიგორიანის (ერევანი) შეხვედრაში ორსკელმა ოსტატმა იმარჯვა.

ყაიმით დასრულდა ვ. სავონ (ხარკოვი) — ა. ლეინის (მოსკოვი), მ. მუხინ (ალმა-ათა) — რ. ხოლმოვის (მოსკოვი), ი. ბალაშოვ (მოსკოვი) — ა. კაპენგუტის (მინსკი), ს. ფურმან (ლენინგრადი) — ვ. ვასიუკოვის (მოსკოვი) და ვ. ტუკმაკოვ (ოდესა) — ვ. ჟიდკოვის (კიევი) შეხვედრები.

გადაიდო ვ. ბაგიროვ (ბაქო) — რ. ჯინჯიხაშვილის, ე. გუფელდ (ორივე — თბილისი) — ნ. რაშკოვსკის (კურგანი) და ლ. შამკოვიჩ — დ. ბრონშტეინის (ორივე — მოსკოვი) პარტიები.

7 ტურის შემდეგ ვ. ტუკმაკოვსა და მ. მუხინს 5-5 ქულა აქვთ, ა. ლეინს — 4 ქულა და 1 გადადებული პარტია, მ. ტალს, ვ. სავონს — 4-4 ქულა, ე. გუფელდს, ვ. ზილბერშტეინს, ი. რაზუვაევს, ს. ფურმანს — 3,5-3,5 (1-1), რ. ჯინჯიხაშვილს — 2,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

### ... ტოლიატიში

XVI ტურით დაიწყო ქალთა ჩემპიონატის ფინიში. ეს ბრძოლის მსვლელობასაც დაეტყო.

მოულოდნელი იყო ი. ლევიტინას (ლენინგრადი) წაგება ოსტატობის კანდიდატ მ. სამულთან (ტალინი). სსრ კავშირის შარშანდელმა ჩემპიონმა ალიოხინის დაცვის წინააღმდეგ მეტისმეტი სითამამით ითამაშა. საშული გაერკვა გართულებებში, იერიში მოიგერია და 26-ე სვლაზე გაიმარჯვა.

ამ წაგების მერე ლევიტინას ნ. კონოპლიოვა (მინსკი) დაეწია. ახლა მასაც 10 ქულა აქვს. კონოპლიოვამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ა. მკრტჩიანთან (ტაშკენტი).

მოსკოვის ჩემპიონმა ნ. მედიანიკოვამ სძლია თ. ბელოვას (ფსკოვი). ყაიმით დასრულდა ე. რუბცოვა (მოსკოვი) — ე. ბაჟინას (ლენინგრადი) შეხვედრა.

ექვსი პარტია გადაიდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურჩევანზე არც უფიქრია. იქით წავიდა, საითაც გზა დაულოცეს. „ყამირზე“ პირველი ხნულის გავლება არ ანაღვლებდა. მისი მოწოდება ტრადიციის შექმნა იყო და შექმნა კიდეც. 105 მედლიდან, მისმა აღსაზრდელებმა მშობლიურ ქალაქში რომ ჩაიტანეს, 56 ოქროსია. ნიჭიერი მწვრთნელის ქურაში გამოიწრთო ათობით სპორტის ოსტატი და სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ბევრი პირველთანრიგოსანი. არასდროს არავისთვის დაუმადლებია ნაღვაწი. იმ მცირედსაც კი მოკრძალებით ითხოვდა, რასაც შრომის პირობების მინიმუმს ვეძახით.

გადიოდა წლები და ზუგდიდში ტანვარჯიშის საზოგადოებრივი ინტერესებისთვის ვერავინ მოიცალა. აქ ხულ სხვა ატმოსფერო სუფევდა, ურწმუნო თომასავით შეჰყუთაც კომიტეტი სახელმწიფო თანხებს უხდის. უხეშად ირღვევა დებულება. მწვრთნელთა დატვირთვის დროს საათების რაოდენობას ხელოვნურად ზრდიან. წესრიგი არც კომიტეტთან არსებულ ახალგაზრდობის სპორტულ სკოლაშია. როცა მოვთხოვეთ, თანრიგოსანთა მომზადებაში სიყალბის მხილებისა შეეშინდათ და გადამალეს სკოლის წლიური ანგარიშის ფორმა (სამწუხაროდ, იგი კომიტეტშიც არ აღმოჩნდა). მაისიდან სკოლის დირექტორის თანამდებობა ვაკანტურია და რაღა გასაკვირია, რომ საქმეც არეული იყო. ანგარიშისგან არც განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტული სკოლაა დაზღვეული. ტანვარჯიშის მწვრთნელი ნ. ფარცვანია შარშანდელ და წლევანდელ სასწავლო წელს თვიდან თვემდე უკლებლივ იღებდა ხელფასს, თუმცა კეთილმოუწყობელ და ცივ დარბაზში შეხედვაც ეზარებოდა.

— ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გ. ლოგუა მხოლოდ ფეხბურთელებს სწყალობს. ხელს დო, მეცადინეობა არ ჩაატარო, არც ჟურნალი გაგაჩნდეს, ფარატინა ქაღალდზე გამოწერო ყოველთვიურად (რა თქმა უნდა, ძირითადი ხელფასის გარდა) 70 მანეთზე მეტი, სანდო ხელქვეითს ხელი მოაწერინო და დაივიწყო, როგორ ჰრის სხვებზე შენი მაგალითი.

— ჩვენ რაღას გვერჩის? სექციას რამდენიმე თვით თუ გაგვიხსნის, თავად წლიდან წლამდე ფულს უშრომლად იჯიბავს, — ხითხითებენ მერე უქნარობის გამო თავმჯდომარისგან ყასიდად შერისხული მწვრთნელები. აი, ამიტომ უყურებენ აღმაცერად სამუშაოდ ზუგდიდში ჩასულ სპეციალისტებს. ამ ატმოსფერომ აიძულა უნარიანი ახალგაზრდა მუშაკი, ჭიდაობის მწვრთნელი ტ. ჩარბაძე იქაურობას გასცლოდა. არავითარი ხელშეწყობა ჩამოსულებს, — ასეთი იყო დევიზი. ასე დაადეს ვეტო ჩარბაძის შემდეგ ჩასული ნ. კორძაიას იანვრის ხელფასს.

— უწყისზე ხელი მომაწერინეს, მაგრამ ფული არ მიმიღია. გადასარჯვაა, ხელფასი ყველა მწვრთნელმა დატოვა და თქვენც უარი უნდა თქვათო, — წერილობით აგვიხსნა კორძაიამ.

სხვათა შორის, ადგილობრივი მწვრთნელები საერთო ენას როგორღაც ძალიან იოლად პოულობენ ფიზკულტურის თავკაცებთან, მოწვეულებს კი უფრო უჭირთ. ჩვენ შევძელით რამდენიმე ფაქტისთვის მოგვეფინა ნათელი. იმავე კორძაიას კომიტეტმა სოხუმში შარშან შეკრება მოუწყო. გუნდს სახსრები სჭირდებოდა. ლოგუამ და კორძაიამ რესტორან „ოდიშის“ დირექტორს შენგელიას მიაკითხეს. ფულიანმა კაცმა ჯიბეზე ხელი გაიკრა და „გაჭირვებულებისთვის“ 300 მანეთი ამოაყოლა. 270 მანეთი ლოგუამ მწვრთნელს გადაუთვალა. ცხადია, დაგვაეჭვა ამ ქველმოქმედებამ. გამოირკვა, რომ კომიტეტს გუნდის ერთთვიანი კვების საფასური (რა თქმა უნდა, სამას მანეთზე მეტი) გადაურიცხავს „ოდიშისთვის“. კვებისთვის ტალონებია დაწესებული, მაგრამ ეს ტალონები მწვრთნელს და სპორტსმენებს თვალითაც არ უნახავთ. სამაგიეროდ, ხაბეიშვილს ტალონების გაცემის უწყისი და ტკბილი სიტყვა შეაგებეს. ასე „აჩუქეს“ ქალაქის სპორტის მესვეურებს ბავშვებმა თავიანთი ლუკმა, ანუ 2 მანეთად და 50 კაპიკად ღირებული 60 ტალონი. კომიტეტის ბუღალტერიაში ტალონები არც ირიცხება. საკითხავია, როგორ, რომელი „ნატვრის ხიდან“ მოწყვიტეს შარშან 1368 და წლეულს 205 ტალონი, რატომ აგვიანებდნენ კვების ობიექტებზე აქტების შედგენას? და საერთოდ, როგორ მოხდა, რომ მარტო შარშან სპორტსმენთა სასწავლო-სპორტულ შეკრებებზე (თანაც, 30-დღიანებზე) 3500-მდე მანეთი დაიხარჯა, მაშინ, როცა სსრ კავშირის სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის 1961 წლის 30 მარტის დადგენილებით რაიონის და ქალაქის ნაკრებ გუნდებზე მსგავსი ღონისძიებისთვის სახსრების ხარჯვა სასტიკად იკრძალება?

## „ქმნა მართლისა სამართლისა...“

### მიზანი, რომელშიც მხოლოდ პირადული მოჩანს

### „ერთი მხვნელი და ათი მჭამელი“

### ვეტო იანვრის ხელფასს

### ბავშვების ლუკმა... სპორტის თავკაცებს

### „პირადი მაგალითი მუქარაზე ძლიერია“

### კვების ტალონები და აღებ-მიცემობის ზუმბიდური ვარიანტი

რებდნენ შესანიშნავი სპეციალისტის ვაჟა ხაბეიშვილის წარმატებებს, რამეთუ მის „სასწაულმოქმედებას“ სხვისი უქნარობაც სააშკარაოზე გამოჰქონდა. ზურს ბაძვა სჯობსო, გვასწავლის ქართული სიბრძნე, მაგრამ ხაბეიშვილს ვინ მიბაძავდა, როცა თურმე ხელფასად მონათლული ფულის ჩაჯიბვა გაურჯელადაც შეიძლებოდა. სამაგიეროდ, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებს სახადივით მოედოთ უქნარობაში წამბაძველობა. გათამამდა ანგარება და პასუხისმგებლობაც უმალვე დაიკარგა. თანდათან ჩაკვდა სპორტული ტრადიციები, იკლო წარმატებებმა. საქართველოს სპარტაკიადაში ზუგდიდელებს ბევრ სახეობაში მონაწილეობა არ მიუღიათ. კომიტეტის ბიუჯეტიდან სახსრები გეგმაზომიერად და მიზნობრივად როდი იხარჯება იმ ჯგუფების დაკომპლექტებისას, რომელსაც არ მიწყობენ. ერთხანს საქმე იქამდეც მივიდა, რომ დარბაზში საკუთარი ლეიბი გადავიტანე. ხვეწნა-მუდარით ვიშოვნე გამონაცვალი ინვენტარი. დარბაზის შეკეთება ჭიანურდება. მიყვარს ჩემი საქმე და მინდა ნაყოფიც ვნახო, — ამას წინათ ეს სიტყვები თქვა ვ. ხაბეიშვილმა ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის კოლეგიის სხდომაზე, როცა საქართველოში ტანვარჯიშის განვითარების საკითხზე მსჯელობდნენ.

... ზუგდიდის სპორტის თავკაცებთან ერთად პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნის მ. ღემურიას კაბინეტში ვართ. ხაბეიშვილი კვლავ გულისტკივილით ლაპარაკობს. კრიტიკა მწარეა და სამართლიანი. ვის უნდა აღექვეთა თვითნებობა? ლოგუას? იგი თავად იძლევა იმის მაგალითს, თუ როგორ შეიძლება სინდისი არაფრად ჩააგ-

ჩვენს ხელთ არის სახალხო დოვლათის მითვისებისა და განიავების ბევრი სხვა ფაქტიც, ზევრიც გამომზეურებას მოელის და ალბათ ზუგდიდელ „მოღვაწეთა“ თვითნებობასაც მოეღება ბოლო.

თ. ბაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ზუგდიდი.



# ს ა მ ი დ ა

ამას წინათ სოხუმში ჩატარდა კალათბურთელ გოგონათა საქალაქო პირველობა. ტურნირში ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის კოლექტივმა გაიმარჯვა. როცა გამარჯვებული გუნდის განაცხადს ვსინჯავდი, ჩემი ყურადღება ლურსმანაშვილის გვარმა მიიპყრო. იგი სამ ადგილას იყო მოხსენიებული. დავინტერესდი ამ სპორტსმენთა ვინაობით და შეკითხვით მივმართე გუნდის მწვრთნელს, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს ვ. ხაშბას.

— ლურსმანაშვილების ოჯახში ხუთი ქალიშვილია: ლარისა, ეთერი, მერი, ირინე და მარგო, — მითხრა მწვრთნელმა. — ამათგან ოთხნი სოხუმის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული თამაშების სპორტსკოლის აღსაზრდელები არიან. ოთხ დას სპორტისადმი სიყვარული უფროსმა დამ ლარისამ შთაუნერგა. სამწუხაროდ, მან კალათბურთის თამაში გვიან დაიწყო და სასურველ მიზანს ვერ მიაღწია. სამაგიეროდ უმცროსმა დებმა მონდომებით მოჰკიდეს ხელი სპორტს და შედეგმაც არ დააყოვნა. ეთერმა შარშან დაამთავრა სოხუმის მე-14 საშუალო სკოლა. ამჟამად იგი მოსკოვის სამედიცინო ტექნიკუმში სწავლობს და კალათბურთშიც ვარჯიშობს. დანარჩენი დები სოხუმის მე-20 საშუალო სკოლის მოსწავლეები არიან. მერი X კლასშია, ხოლო ირინე და მარგო, ტყუპები, — VIII კლასში. სამივე გოგონა აფხაზეთის მოსწავლეთა ნაკრებში თამაშობს.

მწვრთნელი ამაყობს თავისი აღსაზრდელებით და დიდ იმედსაც ამყარებს მათზე.

ამაყობს თავისი მოსწავლეებით სკოლის დირექტორი, წარსულში ცნობილი სპორტსმენი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ნ. დარახველიძეც.

გ. იაშვილი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

* * *

სურათზე: მერი, ირინე და მარგო ლურსმანაშვილები.
ავტორის ფოტო.

## „ლელოს“ წერილების კვალდაკვალ

## „ვის აწყენენ?!“

ამ სათაურით 31 ოქტომბერს ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო თბილისის სტალინის სახელობის სანაპიროზე მშდ ნორმატივების ჩასაბარებლად გამართული მძლეოსნური მასობრივი კროსის შედეგებზე. წერილი ამხელდა წესრიგის დამრღვევთ, რომლებიც იოლი გზით ფონს გასვლას ცდილობდნენ. მოსალოდნელი იყო, რომ გაზეთის სამართლიან შენიშვნას სათანადოდ გამოეხმაურებოდნენ იმ კოლექტივების დირექციები, რომელთა წარმომადგენლებიც გაკრიტიკებული იყვნენ. სამწუხაროდ, რედაქციამ ჯერჯერობით მიიღო მხოლოდ თბილისის 146-ე საშუალო სკოლის დირექტორის მ. ნიჟუას პასუხი, რომელშიც ნათქვამია: „სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლის ი. მიქაძის მიერ ჩადენილი თაღლითობის ფაქტი 10 ნოემბერს განვიხილეთ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. მიქაძე პედაგოგების მიერ სასტიკად იქნა გაკიცხული, ხოლო დირექციამ პედაგოგისთვის უღირსი საქციელისთვის მას სასტიკი საყვედური გამოუცხადა“...

რას გვეტყვიან გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, „მიკროძრავის“, გამთიშველებისა და ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნების, მე-18 პროფტექსასწავლებლის, სინთეტური და პლასტმასის ნაწარმის ფაბრიკის, სტომატოლოგიური ტექნიკუმის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექციები? რატომ დუმან ისინი ამავე წერილში დაბეჭდილ იმ შენიშვნებზე, რომლებიც მათ კოლექტივებს ეხებოდა?

## ი ს ი ნ დ ი, დ ო ღ ი, მ ა რ უ ლ ა...

ამ დღეებში, გულრიფშში მოეწყო რაიონის პირადი პირველობა საცხენოსნო სპორტში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სასოფლო საბჭოებისა და საცხენოსნო კლუბის წარმომადგენლები.

დაბრკოლებათა გადალახვაში „გახსნის პრიზზე“ წარმატება წილად ხვდა სპორტის ოსტატ დ. ხოფერიას. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ჟ. დოჟვეძე და ვ. ღურწკაია.

ისინდში პირველობა არავის დაუთმეს ბაბუშარის სასოფლო საბჭოს ცხენოსნებმა, ხოლო ცხენბურთში — მერხეულელებმა.

საინტერესო იყო ორკილომეტრიანი დოღი. ფინიშთან პირველი მივიდა ბაბუშარელი ს. შენგელია. მანვე გაიმარჯვა 8 კილომეტრზე მარულაში.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველნი იყვნენ ბაბუშარის სასოფლო საბჭოს სპორტსმენები (გუნდის ხელმძღვანელი თ. გვიჩია). მომდევნო ადგილები დაიკავეს მერხეულისა (ხელმძღვანელი ა. მილორავა) და განახლების (ხელმძღვანელი შ. თოლორდავა) ცხენოსნებმა.

შ. ჯალაღონია.
(ჩვენი კორ.).

გულრიფში.

## რაიონების სიახლენი

### ◆ ქუთაისი

ჩატარდა ქალაქის პირველობა ველოსპორტში. 100-კილომეტრიანი რბოლა დინამოელმა გ. პლოხინმა მოიგო—2:18.21,0. 50 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში ყველას აჯობეს „კოლხიდის“ წარმომადგენლებმა. რიგრიგი სტარტით 25-კილომეტრიან რბოლაში პირველი იყო ზ. ლომთაძე („კოლხიდა“). გუნდური შეჯიბრებაც „კოლხიდამ“ მოიგო.

შ. ნიჟარაძე.

### ◆ გორი

ხოფელ ვარიანში მოეწყო ფრენბურთელთა, კალათბურთელთა, ფეხბურთელთა და მოჭიდავეთა ამხანაგური შეხვედრები. ქართულ ჭიდაობაში I ადგილი ბერბუკის მეურნეობის ნაკრებმა დაიკავა. ფრენბურთში ყველას აჯობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გუნდმა, კალათბურთში — ხელოსნის კოლექტივმა, ხოლო ფეხბურთში — ცეკავშირის სასურსათო კომბინატის ნაკრებმა.

ე. კოშკაძე,
ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

### ◆ თელავი

ამხანაგურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ყარაჯალისა და გულგულის ფეხბურთელები. გაიმარჯვეს ყარაჯალელებმა — 5:1.

ზ. მურადოვი.

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

# 1500-ე გოლი გოჩა გავაშელმა გაიტანა

სსრ კავშირის ჩემპიონატებში მონაწილე გუნდებიდან მხოლოდ ორმა — მოსკოვის „დინამომ" და „სპარტაკმა" შეძლეს მეტოქეთა კარში 1500-ზე მეტი გოლის გატანა. და აი, წლევანდელი სეზონის მიწურულს ეს ზღვარი თბილისის დინამოელებმაც გადალახეს.

ჩვენი გუნდის უმრავლესი საიუბილეო გოლების გამტანი ფეხბურთელები დღემდე უცნობი იყვნენ გულშემატკივრებისთვის და მათი პოვნა არცთუ იოლი საქმე გახლდათ. მათგან, ვინც ომამდელ ჩემპიონატებში გაიტანა გოლები, ზოგელას გვარი არ ვიცით, რამდენიმე მატჩის ოქმი კი საერთოდ დაიკარგა (მაგალითად, დღესაც გაურკვეველია, ვის ეკუთვნის კიეველთა 2 საიუბილეო გოლი). სწორედ ოქმის დაკარგვა გახდა შემდგომში მიზეზი იმ ერთი, თითქოს უმნიშვნელო შეცდომისა, რომელმაც გამოიწვია თბილისის „დინამოს" იუბილართა სიის თითქმის მთლიანად განახლება.

1962 წელი. თბილისი. მოსკოვის „სპარტაკთან" შეხვედრაში ვლადიმერ ბარქაიას გააქვს მე-1000 გოლი, მაგრამ ბარქაია მხოლოდ სამ წელიწადს ითვლებოდა ამ საიუბილეო გოლის ავტორად.

1965 წელს სტატისტიკის მამამთავარმა კ. ესენინმა მიაკვლია, რომ თბილისის „დინამოს" 1938 წლის კალენდარული მატჩი სტალინოს „სტახანოვეცთან" დამთავრდა ანგარიშით 1:1 და არა 0:0. თითქოს ამ ორ შედეგს შორის არავითარი განსხვავება არაა — ორივე ხომ ფრეს მაუწყებელია. მაგრამ ამ ერთმა „ესენინის გოლმა" დიდი ცვლილებები გამოიწვია. მისი წყალობით ბარქაიას მიერ „სპარტაკთან" გატანილი ბურთი, ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი გოლად რომ ითვლებოდა თბილისის „დინამოს" ისტორიაში, 1001-ე, რიგით გოლად იქცა.

901-ე გახდა მესხის მიერ 1960 წელს როსტოვში გატანილი ბურთი, რომელიც მანამდე მე-900 გოლად ითვლებოდა. ასეთივე ბედი ეწიათ დანარჩენ საიუბილეო გოლებს და მათ ავტორებსაც.

მხოლოდ ერთმა მათგანმა, ვ. ბარქაიამ შეძლო „შური ეძია" და მაინც გაიტანა საიუბილეო, 1200-ე გოლი. აღსანიშნავია, რომ ის იყო ბარქაიას ერთადერთი ბურთი იმ სეზონში და მისი უკანასკნელი გოლი საკავშირო ჩემპიონატებში.

აი, ვის ეკუთვნის თბილისის „დინამოს" საიუბილეო გოლები:

**პირველი.** ნ. სომოვი — კიევის „დინამოსთან". 1936 წ. თბილისი. 2:2.

**მე-100.** ა. რიომინი (საკუთარ კარში) — მოსკოვის „დინამოსთან". 1939 წ. თბილისი. 4:1.

**მე-200.** ბ. პაიჭაძე — თბილისის „ლოკომოტივთან". 1940 წ. თბილისი. 6:3.

**მე-300.** ბ. პაიჭაძე — მოსკოვის „კრილია სოვეტოვთან". 1947 წ. თბილისი. 2:1.

**მე-400.** ნ. თოდრია — მოსკოვის „სპარტაკთან". 1948 წ. თბილისი. 2:0.

**მე-500.** ი. ვარდიმიადი — დონეცკის „შახტიორთან". 1950 წ. თბილისი. 3:1.

**მე-600.** ა. ღოღობერიძე — ცსკასთან. 1951 წ. მოსკოვი. 1:3.

**მე-700.** ა. ღოღობერიძე — ხარკოვის „ლოკომოტივთან". 1954 წ. თბილისი. 7:1.

**მე-800.** შ. იამანიძე — ცსკა-სთან. 1958 წ. თბილისი. 2:1.

**მე-900.** შ. იამანიძე — ტაშკენტის „ფახთაქორთან". 1960 წ. თბილისი. 4:1.

**მე-1000.** მ. რადუნსკი (საკუთარ კარში) — მინსკის „დინამოსთან". 1962 წ. მინსკი. 1:2.

**1100-ე.** ბ. სიჭინავა — მოსკოვის „სპარტაკთან". 1964 წ. თბილისი. 1:0.

**1200-ე.** ვ. ბარქაია — მოსკოვის „ტორპედოსთან". 1966 წ. მოსკოვი. 1:1.

**1300-ე.** მ. ხურცილავა — კიევის „დინამოსთან". 1968 წ. თბილისი. 1:1.

**1400-ე.** თ. ბურჯანაძე — ტაშკენტის „ფახთაქორთან". 1970 წ. თბილისი. 4:0.

**1500-ე.** გ. გავაშელი — მინსკის „დინამოსთან". 1972 წ. თბილისი. 2:0.

გ. მაღუაშვილი.

ფეხბურთი

# ეფექტურად ვითანამშრომლოთ ოლიმპიურ სამყაროში

## „სოვეტსკი სპორტს" ინტერვიუს აძლევს სოკ-ის პრეზიდენტი ლორდი კილანინი

„რამდენიც უნდა ვთვალოთ მედლები და ქულები, ანგარიშის რა სისტემაც უნდა გამოიყენოთ, სულ ერთია, იძულებული ხართ აღიაროთ, რომ მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში მთავარი გამარჯვება ჩვენ მოვიპოვეთ, — სიცილით ამბობდნენ ირლანდიელები. — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად ხომ ჩვენი თანამემამულე აირჩიეს...". ამ ხუმრობაში უთუოდ იგრძნობა დიდი ავტორიტეტი და მნიშვნელობა, რაც ჩვენს დროში ოლიმპიურმა მოძრაობამ მოიპოვა, და რაც, ბუნებრივია, თვით საერთაშორისო სპორტული მოძრაობის უმაღლესი ინსტანციის მეთაურის პოსტის პრესტიჟშიც პოულობს გამოხატულებას.

როგორც ცნობილია, დუბლინში ახლახან სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის აღმასკომის სხდომა ჩატარდა. ამ სხდომის მონაწილეთა პატივსაცემად მოწყობილ მიღებას სოკ-ის პრეზიდენტი ლორდი კილანინიც დაესწრო. როცა საბჭოთა ჟურნალისტმა სთხოვა რამდენიმე შეკითხვაზე გაეცა პასუხი, პრეზიდენტი სიამოვნებით დასთანხმდა... ხალხი მისწი-მოსწია და პირდაპირ მისკენ წავიდა. შეიძლება ასეთი ყურადღება ჩვენი პროფესიისადმი რამდენადმე იმით აიხსნება, რომ სოკ-ის პრეზიდენტი წარსულში თვითონაც ჟურნალისტი იყო. გთავაზობთ რამდენიმე ცნობას მისი ბიოგრაფიიდან:

მიქაელ მორის კილანინი, ირლანდიელი ლორდი, 58 წლისაა. მიღებული აქვს მრავალმხრივი განათლება იტონში, კემბრიჯში, პარიზში. იქვე დაიწყო აქტიური მეცადინეობა სპორტში: აკადემიურ ნიჩბოსნობაში, კრივში, ცხენოსნობაში. თანამშრომლობდა გაზეთების „დეილი ექსპრესის", „დეილი მეილის", „სანდი დისპეტჩის" რედაქციებში. ომის დროს ბრიტანეთის არმიაში მსახურობდა. გატაცებული იყო კინემატოგრაფიით, გამოუშვა რამდენიმე სურათი სხვა პროდიუსერებთან ერთად. არის ირლანდიის სამეფო აკადემიის წევრი, შედის რამდენიმე კომპანიის ადმინისტრაციული საბჭოს შემადგენლობაში. არის ირლანდიის ისტორიის საკითხებზე რამდენიმე გამოკვლევის ავტორი, 1950 წლიდან ირლანდიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტია, 1952 წლიდან — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი, 1968 წლიდან — ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი. მიუნხენში სოკ-ის პრეზიდენტად აირჩიეს.

ახოვანი, პირსავსე, ჭალარა პრეზიდენტი, ჯანსაღი, ამ ცხოვრების მოყვარული კაცის ლაღლაღა ლოყებით და ირონიული გამოხედვით გარეგნულად ძალიან განსხვავდება თავისი წინამორბედის ევერი ბრენდეჯის ხაზგასმული პურიტანიზმისგან. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას მის შეხედულებებზე ოლიმპიური მოძრაობის განვითარების ზოგიერთ აქტუალურ საკითხში. თუმცა ქვემოთ მოყვანილ საუბარში იგი, ალბათ დიპლომატიური მოსაზრებით, ყოველთვის კონკრეტულ პასუხს როდი იძლევა.

— როგორ გესახებათ ოლიმპიური იდეა თანამედროვე სამყაროში?

— მე მიმაჩნია, რომ ძირითადი, ფუნდამენტური პრინციპები, რაც თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის ფუძემდებელმა პიერ კუბერტენმა ჩამოაყალიბა, დღესაც უდავოდ ცხოვრებისეულია. მაგრამ აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ მას შემდეგ სამყარო ძალიან შეიცვალა. დღეს სპორტი მარტო პრივილეგირებული კლასის გატაცება არ გახლავთ. სპორტის ინტერნაციონალიზაციის იდეა სულ უფრო ფართოდ ვრცელდება. კუბერტენიც არსებითად სწორედ ამისკენ ისწრაფოდა. უნდა გავითვალისწინოთ კონკრეტული ვითარება, საერთაშორისო სპორტის საჭიროებანი და ინტერესები. სწორედ ამიტომ ვისახავ ამოცანად ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებთან და საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებთან უფრო მჭიდრო და ეფექტურ თანამშრომლობას.

ამასთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვნად მეჩვენება განვითარების გზაზე მდგარი ქვეყნების ოლიმპიური კომიტეტებისადმი დახმარების პრობლემის გადაჭრა. ეს დახმარება უნდა გამოიხატოს სემინარების მოწყობაში, ინვენტარით მომარაგებაში, ტექნიკური მუშაკების, ექსპერტების, მწვრთნელების მომსახურებაში. მაშინ ნამდვილად განხორციელდება ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამა. ამ საქმეში უნდა დაგვეხმარონ ფინანსები, რასაც სოკ-ი ტელევიზიით ოლიმპიური შეჯიბრებების რეტრანსლაციის ნებართვის გაცემაში ღებულობს.

— რა აზრისა ხართ ოლიმპიური წესების 26-ე პარაგრაფზე, რომელიც ამჟამად მოყვარული სპორტსმენის სტატუსს არეგულირებს?

— მე ვფიქრობ, მისი რედაქცია უნდა შეიცვალოს. ჩემი აზრით, პარაგრაფი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ოლიმპიურ სარბიელზე უშვებენ ათლეტებს, რომლებიც პატივს სცემენ თავიანთ შესაბამის ფედერაციებს. ამ ფედერაციებს კი ვალდებულებად ეკისრებათ სოკ-ის ფუნდამენტური წესების მკაცრად დაცვა. ამგვარად შესაძლებელი ხდება დავადგინოთ, რომ სიტყვებში „პროფესიული სპორტსმენი" ვგულისხმობთ სპორტსმენს, რომელიც ხელს აწერს კონტრაქტს. მას არ ეძლევა თამაშებში მონაწილეობის უფლება.

— როგორ აფასებთ სიტუაციას, რომელიც ზამთრის თამაშების მასპინძლობაზე დენვერის უარის შემდეგ შეიქმნა? რას ფიქრობთ მომავალ „თეთრ ოლიმპიადაზე", რომლის წინააღმდეგაც მრავალგზის გაილაშქრა თქვენმა წინამორბედმა?

— დენვერის უარის შემდეგ მდგომარეობა გართულდა. მომავალში სოკ-ი იზრუნებს, რომ ოლიმპიური დედაქალაქის კანდიდატურების შერჩევის დროს მსგავსი ინციდენტები არ მოხდეს. რაც შეეხება მომავალ ზამთრის ოლიმპიადას, მე მისი ჩატარების მომხრე ვარ. მინდა გამოვთქვა სურვილი, რომ საერთაშორისო ფედერაციებმა კონტროლი გაუწიონ შეჯიბრების პროგრამას გონივრულ ფარგლებში, არ დაუშვან მისი ჰიპერტროფია.

— ესე იგი, როგორ უყურებთ ოლიმპიური პროგრამის მოწესრიგებისა და სრულყოფის პრობლემას საერთოდ?

— ეს რთული საკითხია. პირადად მე წინააღმდეგი ვარ სპორტის იმ სახეობებისა, რომლებიც ფართოდ არ არის დანერგილი ან ძვირად ღირებულ ინვენტარს მოითხოვს. დავასახელებ, მაგალითად, ბობსლეის ან აფროსანთა რბოლის რამდენიმე სახეობას. იმასაც ვფიქრობ, რომ შეიძლება პროგრამა გაიოლდეს ზოგიერთი ოლიმპიური დისციპლინის შემჭიდროების ხარჯზე. ჩემი ვარაუდით, დროთა განმავლობაში აუცილებელი გახდება შესარჩევი შეჯიბრებების ჩატარება კონტინენტების ჩარჩოებში ან შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციების გადაწყვეტილებით, როგორც ხშირად ახლაც ხდება. მონრეალის თამაშების ორგანიზატორების სურვილია პროგრამა 15-18 სახეობამდე შემცირდეს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამსტერდამში, სადაც კანადის ამ ქალაქმა 1976 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება მიიღო, ისინი თანახმა იყვნენ, რომ ასპარეზობა ოლიმპიური პროგრამის 21 სახეობაში ჩატარებულიყო. თუმცა, ვიმეორებ, აუცილებელია ოლიმპიური სარბიელისკენ გზა გავუხსნათ დღეს ნამდვილად პოპულარულ სახეობებს. პროგრამა უცვლელი არ არის, ოლიმპიური მოძრაობა ეპოქასთან ერთად განიცდის ევოლუციას.

— ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა ოლიმპიურ სპორტში კომერციული სულისკვეთების შეჭრა. თქვენი აზრი ამ საკითხზე?

— კომერციული მიდგომა საფრთხეს უქმნის ოლიმპიურ თამაშებს. ამასთან, „კომერციულ მიდგომაში" მე ვგულისხმობ იმ სპორტსმენთა მიღწევების სარეკლამო მიზნებით გამოყენებას, რომლებიც ამ გზით ასპარეზობის უანგარო მონაწილეთა სახელს კარგავენ.

— ამ ბოლო ხანს ოლიმპიურ მოძრაობას სულ უფრო ხშირად უხდება ბრძოლა რასისტული რეჟიმის წარმომადგენელთა იერიშის წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ ოლიმპიური სარბიელისკენ გაიკვლიონ გზა.

— სოკ-ს განზრახული აქვს მკაცრად დაიცვას არსებული წესები.

— როგორ უყურებთ მოსკოვის სურვილს, რომ 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებს მასპინძლობა მან გაუწიოს?

— მოსკოვი კანდიდატი იყო 1976 წლის თამაშებისთვის. ახლა მან მეორედ წამოაყენა თავისი კანდიდატურა. მე ვფიქრობ, სოკ-მა უნდა გაითვალისწინოს ეს თანმიმდევრულობა (1976 წლის თამაშების დედაქალაქად არჩეულია მონრეალი, რომელმაც წლეულს დაუთმო მიუნხენს). მაგრამ ახლა მე წინ ვუსწრებ მოვლენებს, ვინაიდან სხვა კანდიდატურებიც შეიძლება გამოჩნდეს.

— როგორ გესახებათ სოკ-ის პრეზიდენტის როლი?

— ჩემი აზრით, სოკ-ის პრეზიდენტი ერთგვარად გიდი და არბიტრიც უნდა იყოს. მე სულაც არ ვაპირებ, როგორც იტყვიან, სოლო ნომრის შესრულებას, ამიტომ ჩემი სურვილი იქნება ამოცანები ყველამ დაინაწილოს და დავეყრდნოთ სოკ-ის ყველა წევრს, რომელთაც მართლაც მუშაობისკენ სწრაფვა ამოძრავებთ და არა მარტო წელიწადში ერთხელ დისკუსიებში მონაწილეობის სურვილი.

ი. მარინოვი.

(„სოვეტსკი სპორტის" სპეც. კორ.).

დუბლინი — მოსკოვი.



# მარინე სანაია პირველია

ბლაზოვი, 26 ნოემბერი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება ფიგურულ ციგურაობაში.

წყვილთა სრიალში მოასპარეზეთა ტურნირის მეორე დღეს მაყურებელი მოუთმენლად ელოდა პირველი დღის შემდეგ დაწინაურებული როდნინასა და ზაიცევის ახალი დუეტის გამოსვლას. მაგრამ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი როდნინა, რომელიც თავის ახალ პარტნიორთან გულდაგულ ემზადება მომავალი ბრძოლებისთვის, ყინულზე აღარ გამოსულა — ეს წყვილი თავისი ნებისმიერი პროგრამის დემონსტრირებას გაცილებით გვიან აპირებს.

ამ სახეობაში გაიმარჯვა ვოროზბიოვასა და ვლასოვის დუეტმა (ლენინგრადი) — 306 ქულა (ადგილების ჯამი — 7). მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ იულია და არდო რენიკები — 280,4 (14), ხოლო III — ველიკოვა და ევდოკიმოვი (ორივე წყვილი — რსფსრ) — 273,7 (21).

სსრ კავშირის თასი ყინულზე სპორტულ ცეკვებში მოსკოველებმა მოისეევამ და მინენკოვმა მოიპოვეს — 378,6 ქულა (ადგილების ჯამი — 8). II ადგილზეც მოსკოველთა დუეტი (ალექსეევა — ბოიჩუკი) გავიდა — 376,2 (13). III ადგილზე არიან ვოლკოვა და ბობოშინი (რსფსრ) — 360 (21).

ქალთა შორის ყველას აჯობა ნორჩმა მოსკოველმა ფიგურისტმა სანაიამ — 236 ქულა (ადგილების ჯამი — 9). II ადგილზეა ლენინგრადელი ოლენევა — 234,1 (15), III — მოსკოველი ბაკონინა — 233,55 (20). სსრ კავშირის ჩემპიონმა ტიტოვამ წარუმატებლად იასპარეზა „მოკლე" პროგრამაში და საბოლოოდ IV ადგილს დასჯერდა.

გუნდურ შეჯიბრებაში სსრ კავშირის თასი მოსკოველებს გადაეცათ. II ადგილზე გავიდნენ ლენინგრადელები, ხოლო III — რსფსრ-ს წარმომადგენლები. ერთეულთა შორის ეს საპატიო ჯილდო მოსკოველებს ჩეტვერუხინსა და სანაიას ხვდათ.

* * *

სურათზე: მსოფლიოსა და ევროპის ოთხგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი „თეთრი ოლიმპიადის" ოქროს ლაურეატი ი. როდნინა და სპორტის ოსტატი ა. ზაიცევი.

ვ. ზუფაროვის ფოტო (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვფურცლავთ სპორტულ გაზეთებს

## „მატჩი" ფიშერი — ენევოლდსენი

კურიოზის სახით იტყობინებიან, რომ არსებობს ფიშერთან „მატჩის" ერთი „პრეტენდენტი". ესაა ხანში შესული დანიელი ოსტატი ენევოლდსენი, რომელმაც 20-ან წლებში გაითქვა სახელი ცნობილ დიდოსტატ ნიმცოვიჩთან ლამაზი მოგებით.

ენევოლდსენი რეიკიავიკში იყო, როგორც დანიის გაზეთ „მორგენბლადეტის" კორესპონდენტი. მან ფიშერი გააკრიტიკა მე-11 პარტიისთვის. როცა ფიშერმა ეს წერილი წაიკითხა, თქვა: „თანახმა ვარ მატჩი ვეთამაშო ამ საერთაშორისო ოსტატს, ისე, რომ წინასწარ მხედარს მივცემ".

ენევოლდსენი ვალში არ დარჩენილა. თავის მომდევნო მიმოხილვაში იგი წერდა, ფიშერი ადრე თუ გვიან ფსიქიატრიულ კლინიკაში აღმოჩნდებაო. მაშინ ფიშერმა კვლავ გაიმეორა თავისი ძველი ნათქვამი, ოღონდ მხედარი ეტლით შეცვალა. ახლა უკვე ენევოლდსენმა მოითხოვა, რომ ფიშერს შეესრულებინა თავისი დაპირება. „დაე მხედარი მომცეს და ისე მეთამაშოს. ვნახოთ, რა მოხდება. თუ არა და, ჭადრაკის ისტორიაში უდიდეს ბაქიად გამოვაცხადებ. ორივე შემთხვევაში შურს ვიძიებ ჩემი თანამემამულე ბენტ ლარსენისთვის".

## ვუდი მოწაფის გახსენება

„ამერიკელებს უყვართ გამარჯვებულები", — ჯერ კიდევ მატჩამდე ამბობდა ფიშერი. მერე, როცა პირველი პარტია წააგო და მუქარით ამბობდა საერთოდ მივატოვებ მატჩსო, ნიუ იორკიდან საყურადღებო წერილი მიიღო: „შარისთავეებისა და ბიუროკრატების საზოგადოება" ატყობინებდა, რომ თავის საპატიო პრეზიდენტად ირჩევდა. მაშინ კი, როდესაც ცხადი გახდა, რომ ფიშერი მატჩს მოიგებდა, ამერიკიდან სხვადასხვა მაცდუნებელი წინადადების გამოგზავნა იწყეს. წერდნენ გამომცემლობები, კინოსტუდიები. ასობით კინოვარსკვლავმა გაუგზავნა წინადადება დაქორწინდეთო (მათ შორის იყო ორი ყოფილი „მის ამერიკა"). სკოლამ ბრუკლინში, სადაც ოდესღაც ფიშერი სწავლობდა (ეს სკოლა მას არ დაუმთავრებია და შემდეგ საკმაოდ ლანძღავდა კიდეც) ჭადრაკი სავალდებულო საგანი გახადა. საკონფერენციო დარბაზში, სადაც მედალოსნების სურათებია გამოკრული, ყველაზე მაღლა ფიშერის პორტრეტი დაჰკიდეს.

## ფრთხილი ინგლისელები

მატჩის მონაწილეები უამრავ მიწვევას იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან, მაგრამ ჰასტინგსის ტრადიციული საახალწლო ტურნირის ორგანიზატორებმა მხოლოდ სპასკი მიიწვიეს. „ინგლისელები ტრადიციების ხალხია, — განმარტა ლონდონის „ტაიმსის" საჭადრაკო მიმომხილველმა, საერთაშორისო ოსტატმა ჰ. გოლომბეკმა. — ჰასტინგსში ტურნირი 1895 წლიდან ტარდება და არც ერთხელ არ ჩაშლილა. მიზეზიანი ბობის გამო კი ვინ იცის, რა მოხდება".

## „ტაიმსი" წერდა...

„მას შემდეგ, რაც 15 წლის ფიშერი თავის სამშობლოში მეორე პოლ მორფად აღიარეს, მისი კარიერა შეიცავს არა მარტო საჭადრაკო დაფაზე მოპოვებულ ბრწყინვალე გამარჯვებებს, არამედ უამრავ სკანდალსაც. ფიშერს ტურნირიც კი მიუტოვებია იმის გამო, რომ განათება არ მოსწონდა, ანდა იმიტომ, რომ ალიზიანებდა მეტოქეთა სეირნობა სცენაზე გაკეთებული სვლის შემდეგ. ზოგჯერ ფიშერი თვალში ამოიღებს ვინმეს სატურნირო დარბაზში. მაშინ იგი მოითხოვს, რომ თამაში დახურულ ოთახში გადაიტანონ. თანდათანობით ფიშერის კაპრიზები და ახირებულობა არათუ არ მცირდება, არამედ იზრდება კიდეც".

„... ფიშერი ერთ-ერთ პირველხარისხოვან სასტუმროში ცხოვრობს და თითქმის არ ტოვებს თავის ოთახებს, სადაც მისთვის განუწყვეტლივ მიაქვთ ფორთოხლები და ვაშლის წვენი. ასეთ კარჩაკეტილობას . ფიშერი იშვიათად არღვევს საბილიარდო ოთახში გასვლით".

## ედმონდსონის განმარტება

როგორც ცნობილია, წლების განმავლობაში ფიშერს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა აშშ-ს საჭადრაკო ფედერაციის დირექტორ-განმკარგულებელ ე. ედმონდსონთან. ეს კაცი ამერიკელ დიდოსტატს ძალიან დაეხმარა პალმა დე მალიორკის საზონათშორისო ტურნირსა და პრეტენდენტთა მატჩებში, მაგრამ რეიკიავიკში უკვე აღარ გამოჩენილა. რატომ?

ეს საკითხი განმარტა თვით ედმონდსონმა ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტ ბ. კაჟიჩთან (იუგოსლავია) საუბარში: „მე ბრალი არ მიმიძღვის. ფიშერი იმედგაცრუებული და გაბრაზებულია ჩემზე იმის გამო, რომ ამსტერდამში მისი მოთხოვნები ვერ მივაღებინე. მაგრამ ამოცანა, რომელიც ფიშერმა დამისახა, მიუღწეველი იყო".

ამსტერდამში ფიშერი მოითხოვდა საპრიზო ფონდის გაზრდას 138 ათასი დოლარიდან 177 ათასამდე. შემდგომში მისი მოთხოვნები შესრულდა კიდეც.

## „ვიკინგების შთამომავლები ვართ"

დანიის გაზეთ „ჰომოტიკენის" კორესპონდენტმა ისლანდიის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტს ჰკითხა, ხომ არ ეშინოდა მატჩის დროს ამერიკელი დიდოსტატის ახირებისა.

„ჩვენ ვიკინგების შთამომავლები ვართ, — იყო პასუხი, — და ამიტომაც შეგვეფერება გაბედულები ვიყოთ".

## ჭადრაკისადმი ინტერესი ძალიან გაიზრდება

ფიშერმა ამერიკულ გაზეთ „კრისჩენ საიენს მონიტორის" კორესპონდენტს განუცხადა:

„ახლა ამერიკელებს სუსტი წარმოდგენა აქვთ ჭადრაკზე, მაგრამ, თუ შევძლებ სპასკის დამარცხებას, ამ თამაშისადმი ინტერესი მკვეთრად გაიზრდება. ეს იმიტომ, რომ ამერიკელებს მეტად უყვართ, როცა მათი ქვეყნის წარმომადგენელი რაიმე სფეროში გამარჯვებას იზეიმებს... ამერიკის შეერთებული შტატები ნაკლებად კულტურული ქვეყანაა. ამერიკელებს არა აქვთ მიდრეკილება სულიერი საქმიანობისკენ, ჭადრაკი კი უდიდეს გონებრივ დაძაბულობას საჭიროებს. ბევრი ჩვენი თანამემამულე მთელ დღეებს ტელევიზორთან ატარებს და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ერთ წიგნსაც არ წაიკითხავს".

„ლაიფის" კორესპონდენტმა ფიშერს ჰკითხა, ხომ არ იმოქმედებდა მასზე ის გარემოება, რომ უწინდელ შეხვედრებში უარყოფითი ანგარიში ჰქონდა სპასკისთან. ფიშერმა უპასუხა, რომ ეს ანგარიში სრულიადაც არ იწვევს მასში „არასრულყოფილობის კომპლექსს".

„პირიქით, — თქვა მან, — ჩემი თამაშისთვის ძალიან კარგიც კია, რომ ანგარიშში უპირატესობა სპასკის მხარეზეა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, შევეცდები დავამტკიცო, რომ ყველა უწინდელი პარტია სპასკისთან ჩემს შესაძლებლობებზე გაცილებით უარესად წარვმართე. მატჩი სრული რეაბილიტაციის საშუალებას მაძლევს და დარწმუნებული ვარ, ამას მივაღწევ კიდეც".

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 224, 226, 229, 231, 233.

# ჩემპიონატები, თასები, ლიგები

## ინგლისი

შაბათს ლონდონში ადგილობრივი „ტოტენჰემ ჰოტსპური" გათამაშების ლიდერს „ლივერპულს" შეხვდა. ლივერპულელებმა ჰაივეიმ და კიგანმა პირველ ნახევარში ორი გოლი გაიტანეს, შესვენების შემდეგ კი ლონდონელმა ჩივერსმა მხოლოდ ერთი საპასუხო გოლის გატანა შეძლო. გაიმარჯვა „ლივერპულმა" — 2:1. კომენტატორთა აზრით, იგი ამჟამად მართლაც საუკეთესო კლუბია პირველ ლიგაში.

შარშანდელმა ჩემპიონმა „დერბი ქაუნთიმ" შინ სასტიკი მარცხის სიმწარე აგემა ერთ-ერთ ლიდერს — ლონდონის „არსენალს" — 5:0.

ლივერპულში ადგილობრივი „ევერტონი" დამარცხდა ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედთან" — 1:2. ლონდონელი ბობი მურისთვის ეს იყო მე-500 გამოსვლა მინდორზე უმაღლეს ლიგაში.

„ლიდს იუნაიტედმა" მოუგო „მანჩესტერ-სიტის" — 3:0.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ლივერპული" | 19 | 37:19 | 28 |
| „ლიდს იუნაიტედი" | 19 | 37:22 | 26 |
| „არსენალი" | 20 | 25:20 | 25 |
| „ტოტენჰემ ჰოტსპური" | 19 | 26:20 | 22 |

## შოტლანდია

გლაზგოს „სელტიკმა" სტუმრად მოუგო „ფოლკერკს" — 3:2. გლაზგოელთაგან გოლები გაიტანეს დალგლიშმა, დინსმა და ჰეიმ.

„დანდი იუნაიტედმა" სძლია „აბერდინს" — 3:2. ასეთივე ანგარიშით ედინბურგის „ჰიბერნიენმა" მოუგო „აიბროქსს".

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი" | 13 | 38:13 | 23 |
| „ჰიბერნიენი" | 13 | 31:17 | 19 |
| „აბერდინი" | 13 | 29:18 | 17 |

## გფრ

შაბათს გამართულ XV ტურში ყველაზე უხვგოლიანი გამოდგა მატჩი: „შტუტგარტი" — „შალკე 04". შტუტგარტელებმა დიდი ანგარიშით (6:2) დაამარცხეს თასის მფლობელი — გელზენკირხენის გუნდი.

გათამაშების ლიდერმა — მიუნჰენის „ბაიერნმა" ბოხუმში მოუგო ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდს: მიულერმა და ჰიონესმა 2 „მშრალი" გოლი გაიტანეს მასპინძელთა კარში.

„კაიზერსლაუტერნისა" და ბრემენის „ვერდერის" შეხვედრის 26-ე წუთზე ანგარიში მასპინძელთა ნახევარმცველმა პირუნგმა გახსნა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ბრემენელებმა თანაფარდობა აღადგინეს. შესვენების შემდეგ „კაიზერსლაუტერნის" ნახევარმცველმა დილმა და თავდამსხმელმა აკერმანმა კიდევ ორი გოლი გაიტანეს. „კაიზერსლაუტერნმა" გაიმარჯვა (3:1) და 16 ქულით VII ადგილზე გადაინაცვლა.

მიუნჰენის „ბაიერნს" 25 ქულა აქვს. II ადგილზეა დიუსელდორფის „ფორტუნა" — 21 ქულა. „კიოლნი" 19 ქულით III ადგილზეა.

## პორტუგალია

გათამაშების ლიდერს — ლისაბონის „ბენფიკას" ჯერჯერობით არც ერთი ქულა არ დაუკარგავს. XI ტურში მან შინ ადვილად სძლია ფარენსეს „სპორტინგს" — 3:0.

I ლიგის დებიუტანტის „მონტიჟუსა" და „პორტუს" შეხვედრის ბედი „პორტუს" ცენტრფორვარდის, ბრაზილიელი ფლავიოს მიერ გატანილმა გოლმა გადაწყვიტა. „პორტუმ" გაიმარჯვა — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა" (ლისაბ.) | 11 | 43:4 | 22 |
| „ბელენენსეში" (ლისაბ.) | 11 | 20:15 | 16 |
| „სპორტინგი" (ლისაბ.) | 10 | 26:10 | 15 |

## შვეიცარია

„ბაზელმა" შინ მოუგო ბერნის „იანგ ბოისს" — 2:0. ციურიხში ადგილობრივი გუნდების — „გრასჰოპერსისა" და „ციურიხის" შეხვედრა „გრასჰოპერსის" გამარჯვებით დამთავრდა — 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაზელი" | 13 | 27:18 | 19 |
| „გრასჰოპერსი" | 13 | 33:19 | 17 |
| „ლუგანო" | 13 | 14:14 | 16 |



## თასი „ნასიონალს"

ურუგვაის კლუბმა „ნასიონალმა" თავის კონტინენტზე მოიპოვა ეგრეთ წოდებული თასებში გამარჯვებულთა თასი.

ამ შეჯიბრებაში სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გამარჯვებული ხვდება ჩრდილოეთისა და ცენტრალური ამერიკის ქვეყნების თასის მფლობელს. ურუგვაის გუნდმა ორი შეხვედრა გამართა მექსიკურ კლუბთან „კრუზ აზულთან". პირველი მატჩი მექსიკაში ფრედ (1:1) დამთავრდა, ხოლო მეორე შეხვედრამ მონტევიდეოში გამარჯვება (2:1) და თასი „ნასიონალს" მოუტანა.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## საფრანგეთი

ჩემპიონატის XV ტურის ცენტრალური მატჩი მარსელში მოეწყო, სადაც ჩემპიონი და თასის მფლობელი — ადგილობრივი „ოლიმპიკი" „სენტ-ეტიენს" შეხვდა. მატჩს საფრანგეთისთვის მაყურებელთა იშვიათი რაოდენობა დაესწრო — 44 ათასი! მატჩისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოწვეული იყო იმით, რომ „ოლიმპიკის" შემადგენლობაში პირველად უნდა გამოსულიყო „სენტ-ეტიენის" ყოფილი საუკეთესო სნაიპერი, მალიელი სალიფ კეიტა (იგი თავისი ძველი კლუბის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტის გამო 6 თვით იყო დისკვალიფიცირებული). კეიტამ „შური იძია" — 2 გოლი გაიტანა „სენტ-ეტიენის" კარში. „სენტ-ეტიენი" დამარცხდა — 1:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ნიცა" | 15 | 40:18 | 24 |
| „ოლიმპიკი" (მარს.) | 15 | 29:10 | 20 |
| „ნანტი" | 15 | 22:14 | 19 |

## უნგრეთი

გათამაშების ლიდერმა — ბუდაპეშტის „ფერენცვაროშმა" შინ მოუგო „დიოშდიერს" (4:0), ხოლო ჩემპიონმა „უიპეშტ დოჟამ" ასეთივე ანგარიშით სძლია „შალგოტარიანს".

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფერენცვაროში" | 11 | 26:14 | 16 |
| „უიპეშტ დოჟა" | 11 | 22:8 | 15 |
| „რაბა ეტო" (დიერი) | 11 | 24:16 | 15 |

## რუმინეთი

ბუქარესტში გათამაშების ლიდერების — „სტიაუასა" და „დინამოს" დაძაბული შეხვედრა დინამოელთა გამარჯვებით დასრულდა — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სტიაუა" (ბუქარ.) | 12 | 23:11 | 15 |
| „დინამო" (ბუქარ.) | 12 | 17:12 | 15 |
| „იული" (პეტროსენი) | 12 | 18:18 | 14 |

(საქ. ინფ.).

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: „ვესტ ჰემ იუნაიტედის" ცენტრალური მცველი ბ. მური.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.

## „ზარია ვოსტოკას" პრიზზე

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება ხელბურთელ ვაჟთა გუნდების VII ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე.

გთავაზობთ გათამაშების კალენდარს:

**28 ნოემბერი**

13 ს. 30 წთ. გდრ — რუმინეთი
20 ს. სსრკ — ჩეხოსლოვაკია

**29 ნოემბერი**

18.30. რუმინეთი — ჩეხოსლოვაკია
20.00. სსრკ — საქართველო

**30 ნოემბერი**

18.30. გდრ — სსრკ
20.00. ჩეხოსლოვაკია—საქართველო

**1 დეკემბერი**

18.30. გდრ — ჩეხოსლოვაკია
20.00. რუმინეთი — საქართველო

**2 დეკემბერი**

18.00. გდრ — საქართველო
19.30. სსრკ — რუმინეთი

## სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი

კიტოში (ეკვადორი) გაიმართა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის ფინალური ტურნირი ჭოგბურთში. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ არგენტინელი ჯ. გონზალი და კოლუმბიელი ა. მოლინა. დაძაბული ბრძოლა ხუთ პარტიაში არგენტინელმა მოიგო.

III ადგილი წილად ხვდა დ. ველასკესს (ეკვადორი), რომელმაც დაამარცხა კოლუმბიელი მ. ვალასი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 10306